

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რადოვის სახლში.

სკოლის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

ბამოლის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ.; პირველზე 16 კ. სრულყოფილად დაწერი-  
ლი 25 მანათი; პირველი 50 კ. სრულყოფილად დაწერი-  
ლებისა ითვლება მათგან დაქერილის ადგილის გვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს მკითხველს  
დასაბუთებელ გამოცხადებულ წერილებს, დათვლებულ წიგნს,  
დასაბუთებელ გერ დამბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ центъ, гонторѣ объявл.  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

გამოვიდა და დაურიგდა სკოლის-მომწერთ

## „ივერიის“

### მარტის წიგნი

#### შინაური ქრონიკა

მომავალწელს ჩვენს მკითხვე-  
ლებს, რომ დღეს, აპრილის 25-ს, დი-  
ლის 10 საათზედ სათავად-აზნაურო  
სკოლის სადგურში (ტუკია, ნიკოლო-  
ზის ქუჩ., ჩითახოვის სახლი) დანიშ-  
ნულია ამ სკოლის საზოგადოების  
წლიური კრება, რომელზედაც შეუ-  
უძლიანთ დაესწონენ და ხმა ჰქონ-  
დეთ ყველა წევრთ დამფუძნებელთ  
თბილისის საადგილ-მამულო ბანკისა.  
ამ კრებაზედ უნდა განხილულ იქმნას  
ანგარიში წარსულის და მომავლის  
წლისა. როგორც ამ საფარადლო ან-  
გარიშიდამა სჩანს, სკოლას წელიწად-  
ში უნდება პანსიონით 27,000 მანა-  
თამდე და ბანკიდან შემწეობა 20,000  
მანათამდე მაინც სჭირდება. წრეულს,  
რადგან ბანკს მოგება არა აქვს-რა,  
ზედამხედველს კომიტეტს ბანკისას

გადაუწყვეტია 12,000 მანათი მისცეს  
სკოლას ექსტრაორდინარული თენი-  
დამ და ეს ფული ბანკის საზოგადო-  
კრებამ შეიძლება 15,000 მანათამდე  
აიყვანოს. დანარჩენი 5,000 მანათი  
შეიძლება იანვრიდან სკოლას მიეცეს  
აფანსით მომავლის წლის მოგებიდან,  
თუ, რასაკვირველია, მომავალს წელს  
ბანკს წრეგანდელზედ უკეთესი ამინ-  
დი დაუდგება.

ჩვენის აზრით კარგი იქნება, რომ  
დღევანდელი კრება სალამოსათვის გა-  
დიდვას, რადგან დილით საქმის ხალ-  
ხისათვის შეუძლებელია სკოლაში თა-  
ვის მოყრა.

თბილისის \* სათავად-აზნაურო  
ბანკის წარდგენილებისამებრ, ზედამხე-  
დველ კომიტეტს ამავე ბანკისას გა-  
დაუწყვეტია პრეზიდენტულ ქარვას-  
ლის, ბალის და სახლების საკუთრე-  
ბად შეძენა, თუ ამას მოისურვებს

#### ტყე

როს მუდრო ბინა დასჭირდება  
სულს აღმოფხვრულს, გასაღებულს,  
ტყისკენ წასულს ფიქრს, გონება.

მუნ ბუნებასა ქალწულაზნას,  
ცხოველს, ნაწნასა და განდიდებულს  
წარუტაცნია გიჟი ოცნება.

დაუკარგავნი ცა თავსა დაგვიტყოს.  
მწკნე სავერდი გორს დაგვიტყოს  
ია-ვარდებით დამშვენებულს.

წყარო ბუბუტით ბაღასებს ჭკოცნის  
და ჩიტთა მღერს მინასებულს  
ათას სმებათა შეერთებულს.

ნახად ფურცლები გასწორებულბენ:  
თითქო სკანის გაუკეთებლად  
ქვეყნიერების საიდუმლობას.

ამ დროს, ოცნებით გაცნებულს,  
ჩემი გულის სმა დაუკითხავად  
ესრე სცნობილობს მათს ბასობას:

ჩვენს ამ ადგილთ რად შესებისარ?  
მისი წაწყდის არ გაქვს უფლება;  
ნოტა დაქვს აქ მუდროებას!

გა, აქედამა! ნუ სწამლავ ჭკარს.  
აქ შენთვის ბინა არ იმყოფება;  
აქ ადგილი აქვს უმანკობას!

თებერვლის 28-ს. რ. აღისუბნელი.

#### აპრილის თოთხმეტი

გორის მასწრის ყრილობის გამო.  
(დასასრული \*)

მესამე საგანი: „ნადელების გამო-  
ყიდვის წეს-წყობილების შესახებ“. უნ-  
და გამოვიგონოთ, შევიმუშაოთ იმ  
გვარი წესი, რომ შემსუბუქდეს საქმე  
და იმდენი თრევა, „მგზავრობა“, რო-  
გორც გამოსტევა ბანკი წინამძღოლმა,  
არ მოუწდეს კანცელიარიებში, რამო-  
დენიც ეხლა უნდება, და საქმეს კი  
ბოლო არ ეძლევა.

6. დასასამდე. მმჯობინება, რომ მე-  
ბატონემ და გლეხმა წაიყვანონ ადგი-  
ლობრივ ნოტარიუსი, დაისწრონ მო-  
წმები, Уставная грамота-სთან შეა-  
მოწმონ მიწა, იქვე დაიწეროს მორი-  
გება და ხაზინამ ფული მისცეს მება-  
ტონეს ნოტარიუსის წერილის ძალით.  
რასაკვირველია, ფული მიეცემა იმდე-  
ნი, რამდენადაც მორიგდებიან.

გ. ლალაძე. მე რადგანაც ამ ქა-  
მად ვასრულებ „ნადელების“ შესყი-  
დვის საქმეს, — ამიტომ თამამად შე  
მიძლიან თქმა, რომ „ნადელების“  
შესყიდვის საქმე ერთობ გაძნელებუ-  
ლია, კაცი მარტო წერას უნდება.

\*) იხილე „დროება“ № 86.

საზოგადო კრება და ნებას დართავს  
ფინანსთა მინისტრი.

მერა-პითხვის ბამარცვლებე-  
ლის საზოგადოების მმართველობა  
პატივის-ცემით მოახსენებს საზოგადო-  
ებას, რომ მარტის 31 თბილისის  
კლუბში გამართულის სალამოდამ ამ  
საზოგადოების სასარგებლოდ შემო-  
ვიდა სულ 498 მ. 25 კ.; აქედამ და-  
იხარჯა დარბაზის ქირად, გასანათებ-  
ლად, სკამებისათვის და ესტრადის გა-  
სამართავად 90 მ., მუზიკისათვის 45  
მ., როიალი 25 მ., ყვეილები და  
ვარდის კონები 15 მ., აფიშები, ბი-  
ლეთები და განცხადებთა დაბეჭდე-  
ვაზეთებში 20 მ. 80 კ. — წერილმანი  
ხარჯი 2 მან. 45 კ. სულ ხარჯი  
188 მ. 25 კ. წმინდა შემოსავალი  
დარჩა 300 მან. ამაშივე ირიცხება  
11 მან. და 75 კ. ზოგიერთა პირთა-  
გან შემოწირული ფული ბილეთების  
ფასის გარეშე.

მმართველობა საზოგადოებისა გუ-  
ლითადს მადლობას უძღვნის სენებუ-  
ლის სალამოს გამართვის მონაწილეთა:  
ქქ. ზარუდინას, ღვინდოვისა — შერგი-  
სისას, ბაბუნისა, ბბ-ნთ იპოლიტო-  
ვიანოვს, მკოჩინის, მხორჟევსკის,  
თ. პ. თუმანიშვილს და ს. მგალობ-  
ლიშვილს და აგრეთვე იმ პირთ, რო-

ბატონო, დასწერ, დასწერ ქვეყნის  
ქალაქებს; წარადგენ; გგონია, ეს  
იყო ღმერთმა მიწველა საქმეს ბოლო  
მოეღებო — არ მომიკდე! ბიკრენ  
ქალაქებს აბურაგანს; ისევ ხელ-მო-  
რედ წერა და თავში ცემა. სარგებ-  
ლობა არავის ეძლევა ქალაქის გა-  
მსყიდველის მეტსა. მებატონების სურ-  
ვილი „ნადელების“ შესახებ ყოვლად  
შეუძლებელია შესრულდეს შემდეგი  
უსაფუძვლო მიზეზებისა გამო თბი-  
ლისის გუბერნიის „პრისუსტიის“  
მხრივ. ზირველი: აქნობამდე პირო-  
ბები მებატონეთა და გლეხთა შო-  
რის შესახებ მიწების მეოთხედების  
ფულზედ გადატანისა სრულდებო-  
და ზემოდ სენებულ სასამართ-  
ლობაგან გამოცემულის ფორმით  
და მტკიცდებოდა სასოფლო მსა-  
ჯულ-მამასახლისის დამტკიცებით. რამ-  
დენიმე საქმე კიდევ დამტკიცდა, ამის  
მოწამე მე თვით ვარ. ახლა კი ახალი  
მოწერილობით იმავე სასამართლოსი  
(губернскаго присутствія) სენებული  
პირობების შესრულებას სთხოვენ მხო-  
ლოდ მომრიგებელ შუამავლებს და  
არა სოფლის სასამართლოს. მეორე:  
ზემოხსენებულნი პირობანი, თუ სამი  
წლის წინად არ არიან შემდგარნი და  
მომრიგებელ შუამავლისაგან (посред-  
ниех) ნაჩვენები, რომ, ნაცვლად მა-  
მულის მეოთხედის მოსავლისა აძლე-

მელნიც თავის მეცადინეობით მიეწი-  
ენ სალამოს რიგიანად გამართვას.

მწველში (№ 8) სწერია: „ზა-  
ტარა დაბეჭდილ დიდი პატივისცემით  
იდელსასწაულეს ნეტარი განსვენების დღე  
წმიდა მეთოდისა. დაბა ყვირილში წირ-  
ვასე შეიკრიბა სუთას სულამდე. წირვა  
და გალობა იყო სლავიანურ ენაზე.“

გაზ. „გაგაკას“ სწერენ ჯენსუ-  
მის მასწადამ, რომ მაისის 1-ეს სოფ.  
ცაგერში მოკა სესია ქუთაისის ოქმის  
სამსახურდობის 60 სისხლის სამართლის  
საქმის განსასილველად. სესია ორ  
თვეზე ადრე ვერ მოახერხა ყველა ამ სა-  
ქმეს, როგორც ჭეჭირობენო.

#### „დროების“ კორესპონდენცია

თიანეთი, აპრილის 12-ს. საკვირ-  
ველის ბედისა ეს ჩვენი შშავ-ხეცსუ-  
რეთი. საქართველოს ყველა კუთხეს  
რამოდენიმე საკუთარი კორესპონდენ-  
ტი ჰყავს და ამ ჩვენს კუთხეს ვერა  
ეშველა-რა, — ერთიც არსად მოგვოვე-  
ბა. სწორედ მოგახსენოთ, ეს ვერა-  
ფერი ამბავია, მით უფრო, რომ შშავ-  
ხეცსურეთი დიდად საყურადღებო კუთ-  
ხეს შეადგენს და საქირა მკითხველ-

დენ ხოლმე ფულსა თავთავის დრო-  
ზე — არა მტკიცდებიან. წარმოიდგი-  
ნეთ რა სიძნელეა! როგორ უნდა  
მოიქცნენ ამ შემთხვევაში მებატო-  
ნები, რომელთაც გლეხებთან პირო-  
ბები შედგენილი არა აქვთ მიწის  
მოსავლის გადატანისა ფულზედ,  
და ანუ ჰქონდათ ეს პირობანი,  
მაგრამ მხოლოდ სასოფლო სასამართ-  
ლობაგან შემოწმებულნი? მესამე. მება-  
ტონები არზით თხოულობდენ,  
რომ ვისაც დააკლდებოდა „ნა-  
დელის“ ფული, გლეხების სასარ-  
გებლოდ დარჩენილიყო საქმის ჩქარა  
გათავებისათვის. მაგ. ბ-ნი თულაშვი-  
ლი თხოულობდა ერთი გლეხისაგან  
სახლ-კარ ბინადრობისათვის 16 მან.  
91 კ.; „პრისუსტიემ“ მოსწერა მომ-  
რიგებელ შუამავალს მარტის 16-ს ამ  
წელში № 503-ით, როგორც მახსოვს;  
ამ მოწერილობით ვალდებულად ხდიან  
ბ-ნს თულაშვილს ითხოვოს ოც-და-  
ორი მანათი კაპეიკებით და არა თექვს-  
მეტი მანათი კაპეიკებით. ბატონო,  
ოლონდ მალე გამითავეთ საქმე და  
არ მინდა ეგ თქვენი ექვსი მანათიო,  
გლეხისთვის მიპატივებო, მეტს ხომ  
არ ვართმევ, ნაკლებს ვჯერდებიო.  
არ მომიკდეთ, განაგრძო ლ — ძემ,  
გაჩაღდა მიწერ-მოწერა; წაწერეს  
გლეხს ექვსი მანათი და დღე-  
საც საქმე ჩაილულის წყალს მოე-

მა საზოგადოებამ იცოდეს ავიც და კარგიც ამ კუთხისა. მართალია, განათლებადი ეს ჩვენი კუთხე სხვა ადგილებს უკან ჩამორჩა, მაგრამ აქაც არიან თითო-ორი პირი, რომელთაც შეუძლიანთ იკისრონ კარგს-პონდენტობა, თუმცა დალოცვილებს ყური მიუყრებიან და არას დაგედვენ. აი, თუნდა თიანეთი აიღეთ. ეს დაბა არ არის ისე ღარიბი განათლებული პირებით, როგორც მკითხველს ჰგონია. ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება არა თუ სასულიერო განსწავლული პირები, არამედ უმაღლესის განათლების ღირსებით აღჭურვილი, მაგრამ რა გამოვიდა, როცა არასა სწერენ და თუ სწერენ, მარტო რუსულად. მრთი ამათგანი მხარს უშევენ რუსულის მწერლობის ასარგზვად ბატ. ტებენკოვს, მეორეს საქიროდ არ მიჩნია ქართული კორესპონდენტის ხელობა, მესამეს... მაგრამ ამათ თავი დაეანებოთ და პირ-და-პირ თიანეთზედ დაეწყოთ ლაპარაკი.

მდის იმედით და სასოებით მივეგებებით ახლად დაარსებულს სამკითხველოს, რომელიც ამ წლის დამდეგს გაიხსნა. მეგონა, რომ ცოტად მაინც შეიცვლებოდა ჩვენი ცხოვრება, გონებითი საზრდო სხვა გზაზედ დაეყენებდა უწინდელის უფერულ და უშინაარსო ცხოვრების მიმდინარეობას, მაგრამ მოვსტყუდით, საოცრად შეესციდით. სამკითხველო ბანქოს ქალაქის სათამაშო სახლად გადაიქცა და თუ დანიშნულ ვადაზედ იკრებება აქაური საზოგადოება ამ სახლში, უფრო იმიტომ, რომ ქალაქი ითამაშონ და მერე... მერე ხომ

ლის. აი, ასე აძნელებენ საქმეს. თუ რასმეს გამოვიგონებთ და ავიცდნით ამოდენა დავი-დარაბას თავიდან, ამას არა ემჯობინება-რა.

**შემდეგ ლ**—ძის ამ ლაპარაკისა, გადასწყვიტეს, რომ უსათუოდ მოულონ ამ საქმეს ბოლო. ზოგმა ისე გაიგონა, რომ კრებას სურდა „ნადელის“ გამოსასყიდად სამი თუმნის დაწესება დლიურზედ. ეს იტყია ზოგიერთმა. როგორ შეიძლება მაგის დაწესება. ზოგი ისეთი ადგილებია, რომ დლიური „სანადელო“ ხუთ თუმნად უღირთ, ზოგან კიდევაც მეტი, ზოგან სამს თუმანზედ ნაკლები. ასრე საქმის გადაჭრა მებატონეების საზარალო იქნება.

**ი. ელიაშვილი.** აქ იმაზე კი არ არის ბაასი, რომ რა ფასი დასდონ დლიურზე, რომლის მომატება და დაკლება არ შეიძლებოდა. აქ ლაპარაკი იმაზედ არის, რომ გამოვიგონონ იმისთანა ხერხი, იმისთანა ღონე, რომ ადვილად შესაძლო იყოს მორიგება მებატონესა და გლეხთა შორის. თქვენ, (მიუბრუნდა ერთს). უკაცრავად ნუ ექნები კი, საწყენად არ მოგახსენებთ, თქვენ როგორც მოქცეულხართ ისე ისე მოიქცით; ხელს ნუ მოუტრით სხვას, რომ უადვილესი ხერხი მოიგონოს ამ გაჭირვებიდან გამოსასვლელად.

**შემდეგ** ღამოდენიმე ხანის ბაასისა

მოგეხსენებთ, — ქალაქის თან მოსდევს ბახუსის დიდება და ვედრება... არ იფიქროთ, ვითომ აქაური საზოგადოება ამ მხრივ დაბლა იდგეს თავის მეზობლებზე — სახელ-განთქმულ დუშელზე; სრულიადაც არა მართალია, დუშელზემა თავი გამოიდეს „ახალ-მიმოხილვაში“, განრისხდენ, გასწყრენ — ცილსა გვწამებენ, ჩვენ ქალაქს არა ვთამაშობთ, მაგრამ ეს ხომ ცალიერი ბაქიაობა იყო: ჩვენ მთის ხალხი ვართ, ბაქიაობისა არა ვიცით-რა და მერწმუნეთ ხმასაც არ ამოვიღებთ, რომ სამკითხველო ქალაქის სათამაშო სახლად და ბახუსის სადგურად გადავაქციეთ. რაც მართალია — მართალია! ან რა საქირო იყო სამკითხველო და მეტადრე ისეთი, სადაც ქართული ჟურნალ-გაზეთები მოდის? თუმცა უმრავლესობა აქაური საზოგადოებისა ქართველებისაგან შესდგება, მაგრამ ქართულს ყურს ვინ ათხოვებს და ან რა საკდრისია... მეტადრე მანდილოსნები ქართულს სრულებით აღარ ჰკადრულობენ. მაგრამ რას ვიზამთ, როდესაც ეს განათლების ნიშანია და ყველასა ჰსურს განათლებულეში ჩაითვალოს! ბანათლებას ისეთი მიმზიდველი ძალა აქვს, რომ ყველას სწადიან იმის გარეგანის ელვარებით მაინც გაბრწყინდეს...

საკვირველი ხალხი ყოფილან დუშელი მანდილოსნები. მხრებზე უფრო მეტად იმათ თავი გამოიდეს — ტყუილია, ჩვენი კაცები გათენებამდის ქალაქს არ თამაშობენო. მართლაც და რა კარგია, როცა ცო-

კრებამ დაადგინა შემდეგი: აღმოიჩინეს კომისია წინამძღოლის თავმჯდომარეობით შემდეგ პირთაგან: თთ. ს. მეზროვისა, მრ. ჯავახიშვილისა, აზნ. ალ. ძეგლიაშვილისა და მრ. ლოლაძისაგან, რომელთაც მიენდოთ, საქმის შინაარსის შეუხებელად, შეიმუშავონ უადვილესი ღონისძიება გლეხთა მიერ „ნადელების“ შესყიდვისათვის და ასეთი ღონისძიება ანუ უკედ, სისტემა, წარედგინოს წინამძღოლთა კრებას საქმის დასაბოლოებლად.

**მეოთხე საგანი:** წინამძღოლმა სთხოვა კრებას, რომ რადგანაც მთელს ბორის მაზრაში ერთად-ერთი ქალების სასწავლებელია, ბორის ქალების პროგინაზია, სადაც საკმაო რიცხვი თავდაზნაურთა შეილებისა იღებს განათლებას, დაენიშნოს ბანკიდან ყოველ წლიურ სუბსიდიად ორას-ორმოცდაათი თუმანი. ამოდენა ფულს იმიტომ ვამბობ, რომ ღარიბის შეილების სწავლის ფულს ამ ხსენებული ფულიდამ მიეცემთ, რომ მათ სწავლა-განათლების კარი არ დაეკეტოთ.

**აღ. კვავიშვილი** ძალიან კარგია, მაგრამ ბანკს არ შეუძლიან გადაწყვეტილი ფული აძლიოს ყოველ წლივ და მერე მაგდენი. ბანკისაგან საქველმოქმედო საქმეებისათვის ფულის გაღება დამყარებულია მისს მოგებაზე: წლიურს, ესთქვით, ბევრი მოგება დარჩა, შეიძლება ბევრი მისცეს პრო-

ლი ქმარს ადვოკატობას უწევს!... მაგრამ ჩვენ ეს ბედნიერება არაოდეს არ გვეღირსება, — თითონ ქალები გაცხარებით თამაშობენ ქალაქს და ჩვენ რაღა ადვოკატობას გავვიწვევნი!...

რაკი ადვოკატობაზე დავიწყე საუბარი, მეტი არ იქნება ცოტადენი მაინც მოგახსენოთ ერთად-ერთს აქაურს ადვოკატზედ. სწორედ ერთად ერთზედ, რადგანაც ჩვენი მხარე, თავის ცხოვრების ვითარების გამო, არ საჭიროებს ადვოკატებს და ეს ერთიც რომ არ იყვეს, არც ამას ვინაღვიდით... საკვირველი ქმნილება ეს ადვოკატი და უფრო საკვირველის ხასიათით შემკული! ამ დალოცვილს შეუგნია, რომ დაბალს ხალხს ხრიკებით თუნდა ასე უზამთვსა, თუნდა ისე და სწორედ ამ გზას დასდგომია. შიბის მოწამეს რასაც უნდა ათქმევინებს — ხრიკების საქმე არ არის! სასამართლოში რომ ნახოთ სწორედ მოწმის ჯალათია. თუ პირი მოხსნა, ბაგენი თვისნი აღალო, დასასრული აღარ იცის, თუნდა უბრალო საქმე იყოს. აიდეც კარგი, რომ მომრიგებელი მოსამართლე პატიოსანი მოხელეა, კარგად იცის აქაური ხალხის ავლა-დიდება, გულ-მტკივნეულად ეკიდება საწყალს და დაჩაგრულს, მაგრამ წარმოიდგინეთ — ასე რომ არ იყოს. მაშინ ადვოკატი თითონ იქნებოდა მოსამართლე, როგორც უნდოდა, საქმეს ისრე წაიყვანდა. მინც იცის მთიელები და აწინდელი ადვოკატური ხრიკები, ის, უეჭველია, ჩვენი თანახმა იქნება. მე თითონ მთიელი გახლავართ და

გინაზიას, ესთქვით თქვენგან მოხსენებული ორას-ორმოცდაათი თუმანიც; მერმის ცოტა მოგება ექმნება, ცოტა დარჩება და ცოტას მისცემს. იქნება ისეც მოხდეს საქმე, რომ გერა მისცეს-რა, ე. ი. აღარა დარჩეს-რა, და რად უნდა გავხალოთ ბანკი მოვალედ, რომ უსათუოდ აძლიოს აღნიშნული ფული. ეს საგანი შემდეგ — საბუთიანი ლაპარაკისა დარჩა უწინდელს მდგომარეობაში.

**მესამე საგანი:** შეადგენდა აღმორჩევა დეპუტატთა მომავალი სამი წლის ფულის გასაწერად წინამძღოლთა კანცელარიებისათვის და დეპუტატთა კრებისათვის. ეს საგანი მიიღეს და აღმოიჩინეს ექვსი დეპუტატი ფულის გასაწერად.

**მეექვსე საგანი:** დაენიშნოს ბორის წინამძღოლს ჯამაგირი. აი, ამ საგანმა გამოიწვია ყაყანი; ისინიც კი გაშალვიდა და გამოარკვია, ვისაც აქნამამდე სთვლემდა და ენა აუდგა. შვირილი ერთის მხრივ: „დაენიშნოს, დაენიშნოს!! მაშ მუქთად რად უნდა გვემსახუროს“. მეორე მხრივ: რამდენი? ასოცი ეყოფა... მაგრამ სირცხვილია, ასოცი თუმნად ვინ გვემსახურებაო, შემდეგ ორასამდე ავიდნ. არა, ემწვილებო, თუ გსურთ მართლა რიგიანი წინამძღოლი გყვანდეთ, რიგიანი ჯილდოც უნდა მისცეთ; ამიტომ დაენიშნოს ორას-ორმოცდაათი

მერწმუნეთ, რომ მართლაც მოგახსენებთ. — ადვოკატობაზე მინახსენებოდა რომ გადავიდეთ უფრო მაღალს იქნებოდა. ძველი მამასახლისი, რომელიც არა ერთხელ და ორჯელ გაუკიცხავთ „დროებაში“, გამოსცვალეს და ახალი დააყენეს. ეს უკანასკნელი დიდს იმედს გვპირდება და, როგორც სჩანს, იქნება კიდევ შეგვისრულოს. პირველადვე გამოიჩინა თავისნობა, სოფლის ნამდილი პატრონობა. მშვენიერად მოაწყო სასოფლო სასამართლოს სადგური, ფხიზლად ეკიდება სოფლის ცხოვრების წესიერებას, თუმცა ერთის საყვედურის ღირსიც-კი არის — სოფლის სიფაქიზეს ჯერ არ დასდევს, ვითომ ეს საქირო არ იყოს... მორის ნაპირი, სამაზრო სამმართველოს ცხვირის წინ, სადაც მცხოვრებლები სეირნობენ, საესეა ნავით, და სხვა-და-სხვა უწმინდურობით. აქ, როგორც სხვა ქუჩებშიც, ხშირად შეხედებით პირუტყვების მძოვრს და ყოველივე ეს სწამლავს თიანეთის მშვენიერს ჰაერს, შხამავს შემრგებს მდინარეს. იქნება ახალს მამასახლისს სოფლის სიფაქიზე თავის მოვალეობად არ მიაჩნია, რადგანაც აქ სამაზრო მმართველობა, იქნება ამბობს, რომ ეს ჩემი საქმე არ არისო, მაგრამ ვისიც მოვალეობა და საქმე უნდა იყოს სოფლის სისუფთავე, მაინც მას დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიტყეული. და ამას ჩვენ ჯერ ვერ ვხედვით. შევლანი-კი ხოლერის მოლოდინში ვართ. სწორედ რომ საოცარია ჩვენი დაუდევრობა!...

მაზრის ექიმი უფრო ფხიზლად

თუმანი იმ პირობით, რომ მან მუდმისად იცხოვროს ქ. ბორში, რომ თავდაზნაურს აღარ მოუწდეს მისი ძებნა სოფლად, რომ მალე უსრულდებოდეთ საქმე. „ბევრია, ბევრია!“ წამოგდა ყვირილით ერთი აზნაურთაგანი. მაშინ საზოგადოებიდან ერთმა გაუტყვია, რომ წინამძღოლს უფრო საჭიროობს ღარიბი თავდაზნაურობა, რომელსაც არა აქვს ღონე თავისი ძალის და შეძლებით გააკეთოს თავისი საქმე, თორემ მდიდარი რად დაისაქიროებს მას. როდესაც უჩვენეს მაგალითები, რომ მართლა ღარიბი და გაუგებარი ხალხისათვის უფრო-და-უფრო საჭიროა წინამძღოლი, მაშინ იმავე მყვირალა აზნაურმა წამოიძახა: „მაშ აგრეა!! დაენიშნოს მაშ, დაენიშნოს!!“ — ბრავო, ბრავო! დაუძახა ხალხმა. მიღამაც უთხრა ამ გამოუცდელს კაცს, რომ შენ კი არ დაგიძახეს „ბრავო“, თ. ნ. დ — ძესაო, რომ ეს უკანასკნელი შენ დაგცინისო. იმ ბოროტს სულს, როგორც ამბობენ ბოროტი ენები, პატარა სკანდალი სდომებია ხსენებულ თავადთან, თვითონ გაბედულობა შემოჰკლებია და ხილად სხვა გაუხდია. აზნაურმა ერთი უცნაურად აიმაღლა ხმა: აიქიჩრა დ—ზე, რომელიც თავისთვის იჯდა და არც კი გაუგონია გახელებული აზნაურის სიტყვები, და უთხრა: „შენ ეი, შენი



არის, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ბოლოს დროს—სწორედ რომ ბოლოს დროს!—გამოჩინა ეს თვისება. აქაურ ყასებს აუკრძალა შუა სოფელში საქონლის დაკვლა, —ხოლო გაჩნდებოდა და მიუთითა სოფლის ბოლოს, ორის ვერსის მანძილზედ, იმ ადგილზედ, სადაც ამის წინააღმდეგ, სადამოთი, მგლებმა, ცოტა გაწყდა, სასამართლოს ბოქაულო არ იმსხვერპლეს... ქასები განრისხდნ და ეხლა აღარასა ჰკლავენ, —ჯიბრით გვიშვრება ექიმი ოინებსაო... ამ პირადის დავიდარაბით ჩვენ-კი ვიკულობით და მოკამათეთა მშერთმა უშველოს. ან არა და რაღა საკლავს მიაქციეს ყურადღება, როცა ჩვენი ქუჩები მძოვრით საესენი არიან და ასეთს დიდს მასალას აძლევენ ექიმს სასტიკი ზომებისათვის?! დრო შეიცვალა, ცხოვრება დაწვრილმანდა, რუსულად რომ იტყვიან — *сгущить*, სწორედ ეს გახლავს...

სხვაც ბევრი რამე მქონდა სათქმელი, მაგრამ დარჩეს, კვლავ იყოს. ღიღები, განათლებულები, არა ჰკადრებოდნენ „დროების“ კორესპონდენტობას, მე მაინც მოგწერთ ხოლმე. მაინც საწყალი კაცი ვარ და ჩემს თავს იყოს აქაურების რისხვა. როგორც იქნება გავუძლებ.

მგელა ხინკალ-ჭამიაშვილი.

დასაცინი ვინ არისო; შენ რად დამცინი და ბრავოს მიძახი! მისცივდენ აქეთ-იქით, პირში ბურთი ჩასჩარეს, რომ არაფერი დანაშაული არ მიუძღვის მაგ კაცს შენს წინაშეო. ბოლოს საბოდიშოდ გაუხდა საქმე.

მეექვსე საგანი ერთხმად მიიღო კრებამ და დადგინა, რომ დაენიშნოს ზორის მაზრის წინამძღოლს წელიწადში ორას ორმოცდა ათი თუმანი, რომელიც გაიწეროს თავდაზნაურებზე შეძლების მიხედვით; გაწერა ამ ფულისა მომავალი სამი წლისათვის მიენდოს კომისიასვე წინამძღოლის თავმჯდომარეობით; აწინდელი განაჩენი წარუდგინოს ჯეროვანს ადგილს დასამტკიცებლად, ხოლო ფული მიიქცეს საერო კაპიტალში (*Земский капитал*.)

პრება სამ საათზე დაიშალა და გადაიღო საღამოს ექვსი საათისათვის. დაიშალა ხალხი, ყველა სიამოვნებით ლაპარაკობდა ჯამაგირის დანიშნაზე, მაგრამ იმ თავდაზნაურთ, რომელთაც აღმორჩევებში ხმა არა აქვთ, ცოტა არ იყოს არ ექაშნიკათ, არ მოსწონდათ, რომ მე ფული უნდა ეიხადო ჯამაგირისათვის და ჩემი წინამძღოლის არჩევანში კი ხმა არა მქონდესო. შემცირეს ნაწილმა უნდა აირჩიოს და რაღაო? „შენ უნდა საღამოზე გამოიკვეც“, ამბობდნენ გზაზე.

## დავა შეუ აზიაში

◆◆ ამას წინად გაზეთმა *Новости*-იმ დაბეჯითებით განაცხადა, —თუ რა სარგებლობას გამოეცხადებოდა ბერმანია თავისათვის, როდესაც ორი ძლიერი სახემწიფო — რუსეთი და ინგლისი დაობდნ. ამ გვარი განცხადება რუსულის გაზეთისა გულზე დაადგა ბერმანიის გაზეთებს; ყველანი უარ-ყოფენ, ცხარე წინააღმდეგს წერილებს უწერენ ამ „განცხადებას“, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ხსნის დაწვრილებით, —თუ რა პოლიტიკას მიჰყვება ნამდვილად თ-დი ბისმარკი. *Новости*-კი უპასუხებს მათ: —„შენ ცხარობ, მაშ მტყუანი ხარ“, და შემდეგ განაგრძობს: „ჰსურს თუ არა ბერმანიას რუს-ინგლისის ომი, აი, საგანი, რომელსაც ამ ჟამად სჯიან ჩვენში, მასუკან რაც ჩვენსა და ინგლისის შორის „დავა“ იქნა თავი. პირ-და-პირ, მიუხევედ — მოუხვედრად ვიძლევი ამ კითხვას, რადგან ახლანდელს კრიტიკულს მდგომარეობაში ეს უსაქიროესია. უნდა ვიცოდეთ, ვინ მტერია ჩვენი და ვინ მოყვარე. ეს საჭიროა, თუ რომ გვინდა შიში არსით მოგველოდეს, თუ რომ ზედ-მიწევნით გავარკვევთ ჩვენს ინტერესებს და ვიზრუნებთ მომავალზე. შემდეგ *Новости* სწერს: „ამ საგანში სრული თანაბარია ჩვენის აზრისა რუსეთის ოფიციალური გაზ. *Nord*-ის კორესპონდენცია. პორესპონდენტი, თავ-და-პირველად, უჩვენებს იმ გარემოებას, თუ ზოგიერთი ნემცურთი გაზეთები რამდენს მეცადინეობენ, რომ

— შმაწვილო, ახლა შენ ნახავ, რა თვლით შემოგვხედვენ დანაშაუნი მაზრების თავდაზნაურნი. რა გაჩნდა, შენი კირიმე, ეს დასანებლებელი ბოროტი! რას ჩაგვეცივებია? ახლა მარშლის ჯამაგირის თავი ვისა აქვს, სიცილით მილაპარაკობდნ მეორეთგან.

მართალია, ზორის მაზრაში ბევრი თავდაზნაურობაა, მაგრამ საქმე სიბევრზე არ არის; როგორც ბევრნი არიან, ისრე ღარიბი, მცირე მამულიანნიც უხვად გახლავან. ძარგი ამათში ის არის, რომ საზოგადო საქმეში უკან არ იწევენ. როდესაც ტელეგრამამ მოგვითხროს ამბავი, რომ ოელავის თავდაზნაურობას სკოლის საქმისათვის გაუწერია თხუთმეტი ათასი მანათიო (თუმანი არ გეგონოს!) სულ ყურებში თითები დაიცეს. სწორედ გითხრა, რომ არ გაეწერათ, ის სჯობდა. ორმოცმა ზორის მაზრის პირველი კატეგორიის თავდაზნაურმა, მარტო ორმოცმა, უნდა გადახადოს სკოლისათვის თექვსმეტი ათასი მანათიო და მთელმა ოელავის მაზრამ კი თხუთმეტი ათასი მანათიო! — არა, ეს შეცდომა თუა ტელეგრამაში; იმაგვრედნ გულს წამკითხველნი.

საღამოს სხდომა უფრო მხიარული იყო. ხომ მოგვხსენებთ, სადღით უკან ქართველი კაცი ერთობ მხიარულია. საღამოზე კრების ორატორი იყო თ. მას. მაჩაბელი, რომელმაც

რუს-ინგლისის შორის ომი ასტყდეს. ეს მეცადინეობა, სხვათა შორის, გამოიხატება მასშიც, რომ ნემცური გაზეთები ხშირად იწერებან: იმიტომ არ მოველით ომს, რომ ინგლისი გრძნობს თვის უფლებებს, იგი ვერ წინააღმდეგება რუსეთსაო. მართი ეს განაპარა ბრიტანიის სიამაყის ძლიერად შეურაცხებისათვის. მაგრამ ნურვინ იფიქრებს, რომ ამ გვარი შეურაცხება ინგლისელებისა გამოწვეული იყოს რუსეთისადმი თანაგრძნობით. სრულიადაც არა: გაზეთი, რომელიც ასეთს შეურაცხებას აყენებს ამ ჟამად დიდ-ბრიტანიას, მოსისხლე მტერია რუსეთისა. როდესაც ინგლისის უფლებებზე ლაპარაკობს, ამ გაზეთს სახეში არა აქვს აამოს რუსეთს. ამ გვარი გაზეთების აზრი ის არის მხოლოდ, რომ რუსეთი ინგლისის წასჩუბონა.

◆◆ ნემცურს გაზეთებს სწერენ ლონდონიდან, რომ პრესტონგის ნიუკასტლის ქარხანამ არ მიიღო რუსის მმართველობისაგან შეკვეთილება დიდ-ძალის საომარი იარაღების მომზადებისათვის. ბრიტანიის ზღვის სამინისტრო გზავნის დიდ-ძალს ქვანახშირს ინგლისის სანაპირო სტანციებში.

◆◆ პარიზის დიპლომატიურსა და პოლიტიკურს წრეებში, იწერება *Times*-ის კორესპონდენტი ზევრს ლაპარაკობენ მაზედ, რომ არც ერთს ნემცურს გაზეთს არ უცნობებია მე-როპისათვის, თუ რა პოლიტიკას მიჰყ-

ვითა საზოგადოების ყურადღება ზოგიერთა ახალ საგნებს. მ — ლმა სთქვა, რომ რადგანაც თავდაზნაურობამ, თვითფულმა მათგანმა, უნდა შეიტანოს ხვედრი ფული წინამძღოლის ჯამაგირისათვის, რადგანაც ყველა შეძლებისა დაგვარად ეწევა ერთს უფელს, ერთს საქმეს ემსახურებიან, იმიტომ კარგი იქნება, რომ ყველა აზნაურს ხმა ჰქონდეს თავის წინამძღოლის ამორჩევაში, თავის საქმეებში. შემდეგ იგივე მობაასე გადავიდა სხვა საგანზე: „ძარგი იქნება, რომ წელიწადში ერთხელ, თუ ორჯელ, ან სამჯელ მოხდეს ხოლმე ჩვენს ზორის მაზრის მემამულეთა ყრილობა, რომ ერთი-ერთმანეთს განუზიარონ თავიანთი გამოცდილებანი მამულის შემუშავების და საზოგადოდ სამეურნეო საქმეების შესახებ.“ პრება სიხარულით მიიღო ეს საყურადღებო საგანი და დაადგინა; შეტანილ იქნას წინადადება თ. მას. მაჩაბლისა და სამტკიცებლად, რომ ინიშნებოდეს მიწათმომქმედთა კრებები ზორის მაზრაში ნოემბრის 1-ლს და მარტის 1-ს, წელიწადში ორჯელ; მიღებულ იქნან ამისთანა კრებებზე წევრნი ქავე. სამეურნეო საზოგადოებისა და სახემწიფო ქონებათა სამმართველოს აგენტები.

თ-დმა მ. მაჩაბელმავე ითხოვა, — რა დამართა, რა ბედი ეწვიათ იმ ზო-

ვება თ-დი ბისმარკი *როსტოვის* შუა ამტყდარს „დავით აღმაშენებლის“

◆◆ *Daily News* ის კოპენჰაგენელი კორესპონდენტი იწერება, რომ დანიაში დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალს რუს-ინგლისის დავასაო. დანიის გაზეთები შიშობენ, რომ თუ ომი ასტყდა ერთ-ერთმა მოპირდაპირეთაგანმა არ იგდოს ხელთ კოპენჰაგენი, რომ აქედამ ადვილად იმოქმედოს ბალტიის ზღვაში. ეს არის მიზეზი, რომ დანიის მმართველობა ერთგულად ამაგრებს თვის დედა-ქალაქს კოპენჰაგენს.

◆◆ ჩვენს გაზეთში ამას წინად გადმოგვტყდელი იყო სპარსულის გაზეთს „*Schems*“-ში მოყვანილი ცნობა მაზედ, რომ რუსის მმართველობა შუამდგომლობსა თეირანში თვისის ჯარების გადაყვანის თაობაზედ ასტრახადში და აქედამ მდ. ატრეკის ხეობით ავღანამდე. ამ ჟამად იგივე სპარსული გაზეთი იწერება, რომ რუსეთისა და სპარსეთის შორის 1878 წ., ესე იგი იმ დროიდან, როცა გენ. სტოლეტოვი გაგზავნილ იქნა მბულში ინგლისის წინააღმდეგ პირობის შეცვრისათვის შირ-ალისთან, არსებობს საიდუმლო პირობა, რომლის ძალითაც რუსის ჯარს, თუ გალაშქრება დასჭირდებოდა ჯერ კიდევ დაუპყრობელ თურქმენებისა, ან ინგლისელების წინააღმდეგ, ნება ჰქონდა გადევლო ატრეკის ხეობა ავღანამდე, და ეს პირობა დღესაც ძალაშიაო. ამ სახით რუსეთს ამ ჟამად უფლება აქვს, თუნდა სპარსეთმაც ნება არ

რის მაზრის ყრილობისაგან შემდგარს პროტოკოლებს მარტის 27-დამ 1880 წ. და აპრილის 18 და 19-დამ 1882 წ., რომელნიც (პროტოკოლები) შეეხებოდნენ საჭირო საქმეებს ჩვენის ცხოვრებისას. ზუბერნიის კრებამ რომ გარდაწყვეტილობა მოახდინა ამ პროტოკოლების შესახებ, რატომ აღსრულებასი არ მოჰყავთო. — ამ წინადადების შესახებ დაადგინეს, მიიღონ ზომები, რომ შემდეგში ამ გვარი დაბრკოლებანი საქმის მსვლელობისა თავდაზნაურთა საჭიროებათა შესახებ აღარ იმეორებოდნენ, რომ მოსთხოვონ პასუხი: რა ჰქმნეს, რატომ არ ასრულებენ ზუბერნიის კრების დადგენილობას ხსენებულ პროტოკოლებზე.

პრება გათავდა თოთხმეტსვე ღამისათს საათზედ. ეს თვე შესანიშნავია დანიშნული კრებებით. მისურვით, რომ ჩვენ, ქართველები, იქნებამდინ აესულიყვეთ ზნეობითს კიბეზე, რომ შეგვეძლოს შურის და ცილის მიუხედავად გაგვეკეთებინოს საქმე, ავიდა კარგი გაგვეჩიოს. მისურვით, რომ იმისთანა კაცები აირჩიონ მეთაურებად, რომელთაც ყოველი ჩვენი ბური, ყოველი ჩვენი არ ეზიზღებათ.

ს. მგ — ი.

ქ. გორი.



დართოს, გაიყენოს თვის ჯარი ასტ-  
რაბადში და მდ. ატრეკის ხეობით  
გაილაშქროს ჰერათისაკენ.

## ტელეგრაფები

„წმდილოეთის საგენტოსი“

აპრილის 23-ს

**ლონდონი.** ღორღ გრენვილმა გა-  
ნაცხადა საზოგადოებათა პალატაში,  
რომ ბრიტანეთის მმართველობა თა-  
ნახმას რუსის მმართველობას აწრისა  
და ქსურს მეგობარ სახემწიფოთა მი-  
ანდომს გარეგან იმ უთანხმოებისა,  
რომელიც გამოწვეულ იქნა ტაშკენ-  
ტისთან მომხდარს შეტაკებით; შემ-  
დეგ გრენვილმა სთქვა—როდესაც ღონ-  
დონში მოლაპარაკება იქმნება საზღვ-  
რის თაობაზე, შენჯდეს მასზე ნეიტ-  
რალურად დარჩება და რუსის მმარ-  
თებლობა დასთანხმდება გაიყენოს  
თვისი (წარება) მოწინავე რაზმნი,  
როგორც კი საზღვრების გამოვანი  
გომიან ჩავს იქა. ამ გვარად განცხა-  
დება შეიტანა გლადსტონმა საზოგ-  
დოებათა პალატაში და ეს განცხადება  
პალატამ ტაშის კვრით მიიღო.

### ბირჟა

შეტყუბურგი აპრილის 23.

|                                                                                   |                                        |                                                                                                      |
|-----------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 100 მანათის კურსი სამის                                                           | თვით ღონდონზე —                        | 23 <sup>15</sup> / <sub>16</sub> , 23 <sup>1</sup> / <sub>8</sub> , 23 <sup>31</sup> / <sub>32</sub> |
| 100 მანათის კურსი სამის                                                           | თვით ჰამბურგზე —                       | 204 <sup>1</sup> / <sub>2</sub> , 205 <sup>1</sup> / <sub>4</sub> , 304 <sup>3</sup> / <sub>4</sub>  |
| 100 მან. კურსი სამის                                                              | თვით პარიზე —                          | 253 <sup>3</sup> / <sub>4</sub> , 254 <sup>1</sup> / <sub>2</sub> , 254                              |
| პოლიტიკური დოკუმენტი                                                              | — 8 მ. 22 კ. გაუ.                      |                                                                                                      |
| ტაშკენის კუპონები                                                                 | — 8 მ. 23 კ. გაუ.                      |                                                                                                      |
| ვეცხლის მანათი                                                                    | — 1 მ. 32 კ. გაუ.                      |                                                                                                      |
| ბირჟის დისკონტი                                                                   | — 6 და 7%                              |                                                                                                      |
| 5% ბილეთები აღმოსავ-<br>ლეთის სესხისა 100 და<br>1000 მან. პირველი გა-<br>მოცემისა | — — —                                  | 97 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.                                                               |
| მეორე გამოცემისა                                                                  | — — —                                  | 97 <sup>1</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.                                                               |
| მესამე გამოცემისა                                                                 | — — —                                  | 97 მ. გაუ.                                                                                           |
| 5% მომგები ბილეთები                                                               | I შინაგანის სესხისა —                  | 217 მ. გაუ.                                                                                          |
| 5% მომგები ბილეთები                                                               | II შინაგანის სესხისა —                 | 205 მ. გაუ.                                                                                          |
| ოქროს რენტა                                                                       | — — —                                  | 201 მ. გაუ.                                                                                          |
| თბილისის საადგილ-მა-<br>მულო ბანკის გირავნობ.                                     | ფურცლები — — —                         | 27 წ. 89 <sup>3</sup> / <sub>4</sub> მ. გამუ.<br>43 წ. 88 მ. გამუ.                                   |
| ქუთაისის საადგილ-მამუ-<br>ლო ბანკის გირ. ფურც.                                    | 18 წ. 91 მ. გამუ.<br>43 წ. 90 მ. გამუ. |                                                                                                      |

### ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი**  
ვერდიშვილი ამით აცხადებს რომ ქ.  
თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე  
მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-  
სებულს საავადმყოფოში 1866 წლის  
აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-  
ღებული არის მცხოვრებთა შეღავათი-  
სათვის ღამიანობით მორიგად ყოფნა  
ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამივენი:

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთ-  
შაბათობით და კვირაობით.

**კორნა,** სამშაბათობით და შა-  
ბათობით.

**მელიქ-შარსადგომი,** ოთხშაბა-  
თობით და პარასკევობით.

**ბაგიშვი:**

**ფილჩაშვილისა,** სამშაბათობით.

**ბაგინოშისა,** ორშაბათობით და  
პარასკევობით.

**სტაშანოშისა,** ოთხშაბათობით და  
შაბათობით.

**ლომონა,** ხუთშაბათობით და  
კვირაობით.

**სამპურნალოში,** რომელიც თბი-  
ლისის მოქალაქეთა დაარსეს სასოფრად  
4 აპრილის 1866 წლისა, ავადმყოფნი  
მიიღებინ დიდის 8 საათიდან 12 საა-  
თამდე.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნა-  
ლოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები:  
ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდან 9  
საათამდე საბუბო, საქალებო და სა-  
ბაშკო ავადმყოფობის; საწამლებად  
ბენკლიფსკი—10—11 საათამდე.—სა-  
ხორეგო, სიფილისის ავადმყოფობის  
წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და  
ყურის ტკივილის საწამლებად; შტემ-  
ბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა  
და სხეულზე გამაყრდელი მუწუკების წამ-  
ლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი  
ორშაბათობით 9—10 საათამდე შინა-  
გან ავადმყოფობის წამლობისათვის;  
კორნა ორშაბათობით, სამშაბათობით,  
ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან  
ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11  
საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და  
პარასკევობით 9—10 საათამდე სირურ-  
გიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი  
სამშაბათობით და შაბათობით 11—12  
საათამდე თვალის ტკივილის საწამლე-  
ბად; კრასნოვსკი ორშაბათობით  
და პარასკევობით 10—11 საათამდე  
შინაგან ავადმყოფობათა წამლობისა-  
თვის; ვოლკსონი კბილის ტკივილის  
საწამლებად მიიღებს თავის სასწამ-  
ლოსათვის ღარიბ ავადმყოფებს, რა-  
მელთაც სამკურნალოდამ პარათი ექმე-  
ბათ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბი-  
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-  
დახელ 1 აპრილიდან 1 მაისამდე  
1885 წ.

გამომცხადი ზური რუ-  
სეთის ფეკილისა — — 1 გირ. 5 კ.  
საქურის ფეკილისა: შირ-  
ველის სარისისა — — 1 გ. 2<sup>1</sup>/<sub>2</sub>  
მეორისა — — — 1 გ. 2 კ.

**იმპერ ფეკილისა თორწები გამომ-  
ცხადარი:**

შირველი სარისისა — 1 გ. 4<sup>1</sup>/<sub>2</sub>  
მეორისა — — — 1 გ. 3 კ.  
მესამისა — — — 1 გ. 2<sup>1</sup>/<sub>2</sub>

**ჯავარის-მამის ზური:**

შირველის სარის. ჯავაში 1 გ. 4<sup>1</sup>/<sub>2</sub>  
მეორის სარის. ჯავაში 1 გ. 3<sup>1</sup>/<sub>2</sub>  
მესამისა — — — 1 გ. 3 კ.

**მროსის სორცი:**

შირველის სარისისა — 1 გ. 9 კ.  
მეორისა — — — 1 გ. 8 კ.  
სუკი — — — 1 გ. 16 კ.  
ცხვრის სორცი — 1 გ. 10 კ.

**ღორის სორცი:**

შირველის სარისისა — 1 გ.  
მეორისა — — — 1 — გ.

### ჩაინის ზეა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის  
8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო ხაშუზმდინ  
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ  
10 საათზე და 45 წამზე დილით.  
(სამშაბათობით და შაბათობითსაქ-  
რო 10 ს. 58 წ. დამით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ  
12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფო-  
თისკენ  
5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ  
8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ  
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან და ბათუმიდან მომავა-  
ლი თბილისში შემოდის  
10 საათზე და 25 წამ. დამით.

მარტო ხაშუზმდინ მომავალი  
თბილისში შემოდის  
8 საათზე დილით.

ბაქოდან მომავალი შემოდის  
თბილისში  
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.  
(სამშაბათობით და პარასკევობით საქ-  
რო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

თბილისის სათავად-აზნაურო სო-  
ლის კომიტატი

საზოგადოებას წეს-დების მე 7 §  
თანახმად ნიშნავს საზოგადო კრებას  
აპრილის 25-სათვის, დიდის 10  
საათზე სკოლის სადგურში, ნიკოლო-  
ზის ქუჩაზე ჩათანავის სახლში.

საზოგადო კრების წევრება, წეს-დე-  
ბის ძალით, ითვლებიან წევრნი დამარ-  
სებულნი თბილისის საადგილ-მამულო  
ბანკისა, აგრეთვე შირნი, რომელთაც

სკოლის სასარგებლოდ წევრებად  
მან. მაინც შემოაქვთ **განცხადებანი**  
კრებისაგან განსაზღვრული საგნები:

ა) ანგარიში კომიტეტის მოქმედე-  
ბისა სკოლის შენახვის შესახებ.

ბ) აჩვენებს თავს-მჯდომარის ამხანაგი-  
სა და განდიდატისა კომიტეტის წევრად  
თავ-მჯდომარე კომიტეტისა  
(4—4) გ. მამაცაშვილი.

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხა-  
დეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-  
მოწერისა

**სურათებიან ვეფხის-ტყალსანზე,**

ამისათვის შევამზადებინე კვიტან-  
ციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხ-  
ლავე შემოიტანონ ფული ან სრუ-  
ლიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“  
რედაქციაში. უსი სურათებიანი ვეფ-  
ხის-ტყალსანისა, იქნება **ჩაა მანათი-**  
**დამ** ათ მანათამდე, ხარჯის კვალო-  
ბაზე. ხელის-მომწერი ფულის შემო-  
ტანისათნავე მიიღებს კვიტანციას, თუ  
იგი თბილისშია და შემდეგი ფულის  
შემოტანის დროს ან ეს კვიტანცია-  
ვე უნდა წარმოადგინოს, ან შეატ-  
ყობინოს მისი აზრი. თბილისის გა-  
რეშე ხელის მომწერთა ფული უნდა  
გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და  
კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაში-  
ვე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყალსანის“  
გამომცემელი

(25—12) გ. ქართველიშვილი.


**ყავა მოკვო**

ს. სიუ და კო.

(II. 2592).

(46—11)

### საკლავო



გალქები

ბურნარისა და აშხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც.  
პრთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—პრწრუნისეულს ქარვასლაში.  
იქვეა თვით ფაბრიკიდან მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალ-  
მები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე,  
აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები,  
კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკე-  
ბი, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაქდაკი, პატარა ჯო-  
ხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შროტები, პირსახო-  
ცები, ქოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენ-  
ლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თევ-  
შეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდ-  
რე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოყვანა“ (pen  
of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეკად 144 ცალი, ანუ 5  
კაპეკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება პრწრუ-  
ნისეულს ქარვასლის № № 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86  
და 85.

(100—15)